# შპს „ქართული ავეჯი“

# (ს/ნ 405385596)

# 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

# სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ------------------------------------------------- 3 გვ.

მოგება-ზარალის ანგარიშგება ------------------------------------------------------------ 4 გვ.

ფულის მოძრაობის ანგარიშგება ------------------------------------------------------ 5 გვ.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ------------------------------------------------6 გვ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ------------------------------ 7 გვ.

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021-ის მდგომარეობით

| | შენიშვნა | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| | | ლარი | ლარი |
| **აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 1 | 3,543,883 | 3,632,573 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **3,543,883** | **3,632,573** |
| სასაქონლო მარაგები | 2 | 938,171 | 292,382 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 3 | 225,936 | 268,604 |
| საგადასახადო აქტივი | | 294,613 | 550,092 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | | 20,434 | 65,408 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 4 | 1,071,257 | 604,300 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **2,550,411** | **1,780,786** |
| **სულ აქტივები** | | **6,094,294** | **5,413,359** |
| **ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | 1,216,398 | 1,410,136 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 5 | 1,172,257 | 502,328 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **2,388,655** | 1,912,464 |
| გრძელვადიანი სესხები | | 3,801,063 | 3,655,686 |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **3,801,063** | **3,655,686** |
| **სულ ვალდებულებები** | | **6,189,718** | **5,568,150** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 179,689 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება | | (275,113) | (154,791) |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **(95,424)** | **(154,791)** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **6,094,294** | **5,413,359** |

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

## მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2021-დან 31.12.2021-ჩათვლით პერიოდზე

| | შენიშვნა | 2021 წელი<br>ლარი | 2020 წელი<br>ლარი |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 6 | 2,433,073 | 853,247 |
| ამონაგების თვითღირებულება | | (1,743,524) | (709,532) |
| **საერთო მოგება** | | **689,549** | **143,715** |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 30,845 | |
| საოპერაციო ხარჯი | 7 | (591,780) | (277,869) |
| საპროცენტო ხარჯი | | (259,634) | (25,236) |
| არასაოპერაციო შემოსავალ/ხარჯი | | (1,298) | 4,599 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **(132,318)** | **(154,791)** |
| მოგების გადასახადი | | - | - |
| **წმინდა მოგება/ზარალი** | | (132,318) | (154,791) |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

## ფულის მოძრაობის ანგარიშგება 01.01.2021-დან 31.12.2021-ჩათვლით პერიოდზე

| | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (436,983) | 164,912 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (5,268) | (4,236,873) |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 397,275 | 4,137,369 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | (44,974) | 65,408 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში** | **65,408** | - |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | **20,434** | **65,408** |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 დან 31.12.2021 ჩათვლით პერიოდზე

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | ჯამი |
|---|---|---|---|
| | ლარი | ლარი | ლარი |
| **ნაშთი - 01.01.2020** | 0 | 0 | 0 |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | | | |
| გაცემული დივიდენდები | | | |
| პერიოდის მოგება/ზარალი | | (154,791) | (154,791) |
| **ნაშთი - 31.12.2020** | 0 | (154,791) | (154,791) |
| საწესდებო კაპიტალის ცვლილება | 179,689 | | 179,689 |
| გაცემული დივიდენდები | | | |
| პერიოდის მოგება/ზ არ ალ ი | | (132,318) | (132,318) |
| კორექტირება გაუნაწილებელ მოგება/ზარალზე | | 11,996 | 11,996 |
| **ნაშთი - 31.12.2021** | 179,689 | (275,113) | (95,242) |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

## სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის დასასრულებული წლისთვის

### წინამდებარე დოკუმენტის მოხმარების სფერო

წინამდებარე საკონსულტაციო დოკუმენტი წარედგინა შპს ქართული ავეჯი (ს/ნ 405385596) (შემდგომში - **კომპანია**) მენეჯმენტს და წარმოადგენს დოკუმენტს, რომლის მესამე პირისათვის წარდგენა დასაშვებია კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით.

წინამდებარე საკონსულტაციო დოკუმენტი წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვის ძირითად პოლიტიკას და სტანდარტულ პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს/ბასს) და რომელიც შეუძლია გამოიყენოს კომპანიამ თავისი საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვისათვის. აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიაში არსებულ ძირითად სამეურნეო-საფინანსო ოპერაციებს და იგი არ ითვალისწინებს თუ რა არასტანდარტულ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციებს ან დამხმარე/მაკორექტირებელ გატარებებს ახორციელებდა ან ახორციელებს ამჟამად კომპანია და/ან დამატებით განახორციელებს მომავალში.

## საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა:

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუტაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | % |
|---|---|
| შენობა-ნაგებობი | - 2 |
| მაქანანა-დანადგარები და ელექტრომოწყობილობა | - 20 |
| კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი | - 20 |

რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი, კერძოდ: რემონტი და გაუმჯობესება ზრდის ექსპლუატაციის ვადას, იცვლება ძირითადი საშუალების არსებითი ნაწილი როგორც ფუნქციონალური ისე ღირებულებითი კუთხით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს აღემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ ღირებულებასა და არსებულ გამოყენებად

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების გამოკლებით. არამატერიალური აქტივების მოხმარების პერიოდი შეფასებულია როგორც განსაზღვრული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 15 წლიანი სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და გაუფასურების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

## მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

არსებული მდებარეობითა და კონდიციაში მარაგის თვითღირებულება აღირიცხება შემდეგნაირად:

- წარმოებისთვის საჭირო ნედლეული და მზა პროდუქცია (შეძენილი პროდუქცია): შეძენის ღირებულება საშუალო შეწონილის საფუძველზე;
- ჩამოუსხმელი ღვინის მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია (საკუთარი წარმოება): პირდაპირი ნედლეულის, მასალების, შრომისა და წარმოების ზედნადები ხარჯების საშუალო შეწონილის საფუძველზე.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის მიახლოებითი გასაყიდი ფასი ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას, მინუს შესრულების მიახლოებითი ღირებულება და მიახლოებითი ღირებულება აუცილებელი გაყიდვის განსახორციელებლად.

## სავაჭრო და სხვა საოპრეციო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა საოპრეციო მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვარდი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე. პირველადი შეფასების შემდეგ, ასეთი ფინანსური აქტივები შემდგომში აღირიცხებიან საამორტიზაციო ღირებულებით, მინუს გაუფასურება. გაუფასურებით წარმოქმნილი ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში.

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ვადიან დეპოზიტებს, მოთხოვნამდე დეპოზიტების ჩათვლით და მოთხოვნებს გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადით.

**ნასესხები სახსრები**

პირველადი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრები პროცენტის დარიცხვით შემდგომში აღირიცხება საამორტიზაციო ღირებულებით ეფექტური პროცენტის გამოყენებით. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალში აღირიცხება როგორც ნასესხები სახსრების გადახდისას ან ჩამოწერისას, ისე მათი საამორტიზაციო ღირებულების ეფეტური პროცენტით განგარიშებისას.

ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება ნასესხები სახსრების მოზიდვისას გამოწვეული დისკაუნტის, პრემიის, საკომისიოს თუ სხვა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური პროცენტის გაანგარიშების ნაწილია. ეფექტური პროცენტით ამორტიზაცია გატარდება მოგება-ზარალის ფინანსურ ხარჯებში.

**შემოსავალ-ხარჯის აღიარება**

შემოსავალი ან ხარჯი აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი ხარისხის სიზუსტით.

**საქონლის და მომსახურების რეალიზაცია**

შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან აღიარებას ექვემდებარება, როცა საკუთრების რისკი საქონელზე არსებითად გადაცემულია (როგორც წესი საქონელი მიწოდებულია) მყიდველზე და მომსახურება გაწეულია.

**გაუფასურება**

**საამორტიზაციო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება:**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი ფინანსური აქტივებისთვის (მათ შორის და არამხოლოდ: სავაჭრო და სხვა საოპრეციო მოთხოვნებისთვის), რომელიც აღირიცხებიან საამორტიზაციო ღირებულებით. თუ არსებობს ასეთი ობიექტური საფუძველი, მაშინ გაუფასურების ხარჯი იანგარიშება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღორებულებასა და მის მიმდინარე დისკონტირებულ ღირებულებას შორის. შესაბამისად ამ სხვაობით მცირდება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის გამოყენებითა და ხდება მოგება-ზარალში გაუფასურების ფინანსური ხარჯის აღიარება. თუ გაუფასურებული ან ჩამოწერილი ფინანსური აქტივი დაიფარა, მაშინ შემოსავალი აისახება მოგება-ზარალის არასაოპერაციო (ფინანსური) ხარჯების საკრედიტო ანგარიშზე გატარებით.

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება:**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი არაფინანსური აქტივებისთვის (მათ შორის და არამხოლოდ: ძირითადი საშუალებებისთვის, მარაგებისთვის და მათი ავანსებისთვის), რომელიც აღირიცხებიან თვითღირებულებით. თუ არსებობს ასეთი ობიექტური საფუძველი, მაშინ გაუფასურების ხარჯი იანგარიშება, როგორც სხვაობა არაფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის აღდგენით ღირებულებას შორის. შესაბამისად ამ სხვაობით მცირდება არაფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შესაძლოს დანაკარგების რეზერვის (ძირითადი საშუალებებისათვის აკუმულირებული ცვეთისა და ამორიზაციის) გამოყენებითა და ხდება მოგება-ზარალში გაუფასურების სხვა საოპრეციო ხარჯად აღიარება. თუ გაუფასურებული ან ჩამოწერილი არაფინანსური აქტივი დაიფარა, მაშინ შემოსავალი აისახება მოგება-ზარალის სხვა საოპრეციო ხარჯების საკრედიტო ანგარიშზე გატარებით.

**უცხოური ვალუტის გადაფასება**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება ფუნქციონალურ ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაქცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ანგარიშგების თარიღისთვის დაფიქსირებული ფუნქციონალური ვალუტის გაცვილითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაფასება ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

**მოგების გადასახადი**

**მიმდინარე მოგების გადასახადი:**

მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება მიმდინარე პერიოდისთვის აღიარდება თანხით, რომელიც დაიფარება საგადასახადო ორგანოების მიერ ან გადაიხდება საგადასახდო ორგანოებისათვის. მოგების გადასახადის განაკვეთისა და გადასახდის თანხის გაანგარიშება ხდება საქართველოს მოქმედი საგადასახდო კანონმდებლობით.

**გადავადებული მოგების გადასახადი:**

გადავადებული მოგების გადასახადი იანგარიშება საანგარიშგებო თარიღში საგადასახადო ბაზის აქტივებსა და ვალდებულებებსა და მათ შესაბამის ფინანსურ ანგარიშგების საბალანსო თანხებს შორის დროებით განსხვავებების დასადგენად ვალდებულების მეთოდის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება იანგარიშება მოგების გადასახადის განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია რომ შეეხება და ძალაშია იმ წელს და სააგნარიშგებო თარიღისთვის, როცა აქტივის რეალიზაცია მოსალოდნელია ან ვალდებულება გადახდილი იქნება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება გაინაშთება თუ არსებობს იურიდული საფუძველი გაინაშთოს მიმდინარე მოგების გადასახდის აქტივი მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებასთან.

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

**ცვლილებები წარდგენაში**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. ნაწილი კორექტირებებისა არის ფინანსური რეკლასიფიკაციები. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

| | კორექტირებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | თავდაპირველი წარდგენა | წინა წლის მონაცემების კორექტირება |
|---|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | | | |
| სავაჭრო მოთხოვნები | | | |
| გადახდილი ავანსები | | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | | |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | | | |
| სხვა ვალდებულებები | | | |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | (142,795) | (154,791) | 11,996 |
| ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | | |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | | | |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) | | | |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

შენიშვნა 1.

**ძირითადი საშუალებები**

| | მიწის ნაკვეთები | დაუმთავრებელი მშენებლობა | საკუთრებაში არსებული ფართები | მანქანა-დანადგარები | ელექტრო და სხვა ხელსაწყოები | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ: |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საბალანსო ღირებულება** | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | **ლარი** |
| 1 იანვარი 2020 წ. | - | - | - | - | - | - | - | - |
| შესყიდვა/შემოსვლა | | | 3,528,390 | 111,100 | 2,084 | 1534 | | **3,643,108** |
| რეალიზაცია/გასვლა | | | | | | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | **ლარი** |
| 31 დეკემბერი 2020 წ. | - | - | 3,528,390 | 111,100 | 2,084 | 1,534 | | **3,643,108** |
| აკუმულირებული ცვეთა 31/12/2020 წ. | | | (11,762) | | | | | **(11,762)** |
| შესყიდვა/შემოსვლა | | | | 1,483 | 3,507 | | 210 | **5,200** |
| რეალიზაცია/გასვლა | | | | | (68) | | | |
| **საბალანსო ღირებულება** | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | ლარი | **ლარი** |
| 31 დეკემბერი 2021 წ. | - | | 3,528,390 | 112,583 | 5,523 | 1,534 | 210 | **3,648,241** |
| აკუმულირებული ცვეთა 31/12/2021 წ. | | | (82,329) | (22,368) | (767) | (307) | (21) | **(105,792)** |

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

შენიშვნა 2.

სასაქონლო მარაგები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| საწყისი ნაშთი | 292,382 | 0 |
| შესყიდვა | 2,784,859 | 1,250,792 |
| რეალიზაცია | (2,139,070) | (958,410) |
| საბოლოო ნაშთი | 938,171 | 292,382 |

შენიშვნა 3.

სავაჭრო მოთხოვნები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| სავაჭრო მოთხოვნები | 225,936 | 268,604 |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

**შენიშვნა 4.**

| სხვა მიმდინარე აქტივები | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი | 1,071,257 | 604,300 |
| | | - |
| სულ: | 1,071,257 | 604,300 |

**შენიშვნა 5.**

| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| | ლარი | ლარი |
| სავაჭრო ვალდებულებები | 1,216,398 | 1,410,136 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 13,825 | 20,645 |
| მიღებული ავანსები | 707,857 | 0 |
| სულ: | 1,938,080 | 1,430,781 |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე

**შენიშვნა 6.**

| ამონაგები | 2021 | 2020 |
| --- | --- | --- |
| | ლარი | ლარი |
| ავეჯის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი | 2,433,073 | 853,247 |
| გაყიდული საქონლის/მომსახურების დაბრუნება და ფასდათმობა | (55,181) | (13,280) |

**შენიშვნა 7.**

| ადმინისტრაციული ხარჯები | 2021<br>ლარი | 2020<br>ლარი |
| --- | --- | --- |
| რეკლამის ხარჯები | (24,369) | (26,118) |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | (24,477) | (20,738) |
| საშუამავლო საკომისიო ხარჯი | (1,696) | 0 |
| მარკეტინგული საკანცელარიო ხარჯი | (2,955) | (2,321) |
| შრომის ანაზღაურება | (202,302) | (108,499) |
| საპენიო ხარჯი | (5,730) | (4,185) |
| სამეურნეო და ჰიგიენური ხარჯები | (8,954) | (11,626) |
| ზოგად-ადმინ. საკანცელარიო ხარჯი | (2,049) | (8,002) |
| კომუნალური ხარჯები | (154,064) | (43,503) |
| კომუნიკაციის ხარჯები | (2,241) | (148) |

**შპს ქართული ავეჯი**

**დირექტორი მარინე ქავთარაძე**

| | | |
|---|---|---|
| დაცვა | (96,084) | (12,761) |
| რემონტი | 0 | (255) |
| კომპიუტერის ხარჯები | (1,483) | (2,253) |
| საკონსულტაციო ხარჯები | (6,593) | (6,119) |
| იურიდიული და სანოტარო ხარჯები | (497) | 0 |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | (36,646) | 0 |
| ბანკის საკომისიო | (17,804) | (31,341) |
| ჯარიმები და სანქციები | (3,516) | 0 |
| სხვა საერთო ხარჯი | (320) | 0 |
| ჯამი: | (591,780) | (277,869) |

შპს ქართული ავეჯი

დირექტორი მარინე ქავთარაძე